

0232 ლიტერატურა და ლინგვისტიკა LITERATURE AND LINGUISTICS

**ფრანც კარლ ალტერის ლექსიკოგრაფიული კოლექციის საკვანძო ასპექტების შესახებ
თამარიკო ზარანდია
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო
E-mail: tamar.zarandia1990@gmail.com**

რეზიუმე

სტატიაში განხილულია ავსტრიელი სწავლულის - ფრანც კარლ ალტერის ლექსიკოგრაფიული რესურსი „Vergleichung der kartelinischen, der gelehrten georgianischen und vulgar-georgianischen Sprache nach den Worterverzeichnissen des Petersburger Vergleichungs-Worterbuchs mit Anmerkungen,“ რომელიც წარმოადგენს მისი წიგნის „ქართული ლიტერატურის შესახებ“ ერთ-ერთ ნაწილს. აღნიშნული წიგნის სწორედ ამ ნაწილის სტრუქტურა და წყაროები გახდება ჩვენი მსჯელობის ობიექტი წინამდებარე სტატიაში. ფ. კ. ალტერის ლექსიკოგრაფიული კოლექცია ნამდვილად არის მე-18 საუკუნის მიწურულის საზღვარგარეთული ქართველოლოგიის უმნიშვნელოვანესი და გამორჩეული ნიმუში. იგი შეიცავს საგულისხმო ლექსიკურ მასალას, რომელიც ქართველურ ენათა შესწავლის ისტორიისათვის უაღრესად ფასეულია.

საკვანძო სიტყვები: ფ. კ. ალტერი, ქართველური ენები, ლექსიკონი.

შესავალი

სტატიაში ვმსჯელობთ ავსტრიელი სწავლულის - ფრანც კარლ ალტერის ლექსიკოგრაფიულ კოლექციის შესახებ, რომელიც 1798 წელს ვენაშია გამოცემული. ეს კოლექცია პეტერ სიმონ პალასის ვრცელ ლექსიკოგრაფიულ რესურსზე - „მსოფლიო ენათა შედარებით ლექსიკონზე“ დაყრდნობით შექმნილ ნაშრომს წარმოადგენს. პალასის ლექსიკონს, როგორც წყაროს, სხვა ბევრი ავტორი იყენებს თავიანთი ლექსიკოგრაფიული რესურსებისათვის, ესენია: თეოდორ იანკოვიჩ დე მირიევის ლექსიკონი, ჯორჯ ელისის ინგლისურ-კავკასიური და ფრანგულ-კავკასიური სიტყვარები და ჩვენთვის საინტერესო ფრანც კარლ ალტერის შედარებითი ლექსიკონი. ამ ნაშრომში ჩვენ მხოლოდ უკანასკნელ ლექსიკოგრაფიულ რესურსს შევხებით. განვიხილავთ ფრანც კარლ ალტერის ნაშრომის კ. ს პალასის ლექსიკონთან მიზეზ-შედეგობრივ კავშირს და არც სხვა წყაროებს დავტოვებთ ყურადღების გარეშე. მის წიგნში ქართველური ენების საკითხი ჩვენთვის გამორჩეული მნიშვნელოვნობისაა.

ძირითადი ნაწილი

თავდაპირველად ავტორის ვინაობაზე უნდა ვთქვათ ორიოდ სიტყვა. ფრანც კარლ ალტერი ავსტრიელი იყო. იგი დაიბადა 1749 წლის 27 იანვარს. მან საფუძვლიანი განათლება მიიღო ჩეხეთში, ოლომოუცის გიმნაზიაში. შემდეგ განათლების მიღება გააგრძელა პრაღაში, წმ. კლიმენტის კოლეგიუმში, სადაც ძველებრული და ძველბერძნული ენები შეისწავლა. 1779 წლიდან ალტერი გახდა ვენის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის გამგე და იქვე ლექციებსაც კითხულობდა. თავის სიცოცხლეში მან გამოცა ანტიკური პერიოდის მის მიერ რედაქტირებული არაერთი მხატვრული და ისტორიული ნაწარმოები, თუმცა ყველაზე მნიშვნელოვან გამოცემად მაინც ახალი აღთქმის ბერძნულენოვანი ვერსიის (ალტერი 1786-1787) გამოქვეყნება მიიჩნევა. თავისთავად ცხადია, რომ არც მისი ზემოხსენებული ქართველოლოგიური ნაშრომი უნდა დაგვრჩეს ყურადღების მიღმა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მან თავისი გამორჩეული როლი შეასრულა უცხოურ ქართველოლოგიაში. ფრანც კარლ ალტერი გარდაიცვალა 1804 წლის 29 მაისს ქალაქ ვენაში.

პეტერ სიმონ პალასის ორტომეულზე დაყრდნობით შექმნილ რესურსებს შორის იგი ყველაზე მეტად განსხვავდება დანარჩენისაგან. ამ მასალის სრულმა აღწერამ და ანალიზმა აჩვენა, რომ პალასის ორტომეული არ წარმოადგენს მისი რესურსის ერთადერთ წყაროს. ძალიან ცხადად გამოჩნდა, რომ სიტყვანი ნამდვილად პალასისეულია (273 სიტყვა); ამავე რიგში უნდა დავასახელოთ გლოსონიმებიც, თუმცა ალტერი სხვა წყაროებსაც იყენებს. ამ წყაროებს შორის არის როგორც ლექსიკოგრაფიული ნაშრომი (ს. პაოლინისა და ნ. ირბახის ლექსიკონი), გრამატიკული აღწერა (მ. ფ. მაჯოს ნაშრომი), ტექსტი (მოსკოვში გამოცემული ქართული ბიბლია) და კონსულტანტების (სტეფანე ავთანდილისა და გრიგოლ ბაგინანთის) მიერ მოწოდებული მონაცემები. რაც შეეხება იდიომებს, მათი რაოდენობა აღემატება პალასისეულს. ამის მიზეზი წყაროთა სიმრავლე და მრავალფეროვნებაა; ამ მხრივ, აქ დაფიქსირებული შეუსაბამობებიც ამ

წყაროებიდანაა ნამეცვიდრევი. მასთან დაკავშირებული სხვა ლექსიკოგრაფიული კოლექციების ავტორებისა და რედაქტორებისაგან განსხვავებით, ფ. კ. ალტერი ანალიტიკურ მასალას გვთავაზობს თითოეულ სიტყვა-სტატიაში. ეს მასალა ზოგჯერ ეტიმოლოგიურია; ჭეშმარიტ საფუძველს მოკლებული „მიგნებების“ გვერდით გვხვდება მართლაც საყურადღებო დაკვირვებებიც. აღნიშნულის გარდა ავსტრიელი სწავლული თავის მიერ ამა თუ იმ სიტყვის სხვადასხვა წყაროში დაფიქსირებულობის შესახებაც გვაწვდის ინფორმაციას (არაიშვიათად გვაქვს ისეთი შემთხვევა, როდესაც იგი პირდაპირ მიუთითებს, რომ ესა თუ ის ლექსემა არ გვხვდება, მაგალითად, პაოლინისთან ან მაჯოსთან. ამგვარი ინფორმაცია ძალიან მნიშვნელოვანი მონაცემია, რაც აღნიშნული ნაშრომის კიდევ ერთ, უადრესად დადებით მხარეს წარმოადგენს. შეიძლება დავასკვნათ, რომ ფ. კ. ალტერის ლექსიკოგრაფიული რესურსი წარმოადგენს პ. ს. პალასის ლექსიკონის არა უბრალო რეპროდუქციას, არამედ იგი არის ანალიტიკური გამოკვლევა, რომლის ერთი-ერთი ძირითადი და საბაზისო წყარო სწორედ ზემოხსენებული ორტომეული ლექსიკონია, თუმცა იგი ასევე ეყრდნობა სხვა, მსგავსი სახის წყაროებს. ანალიზურ კომპონენტთან ერთად ეს არის ის ასპექტი, რომელიც მას განასხვავებს სხვებისაგან და მეტ ღირსებას ჰმატებს.

წინა შემთხვევებში, ის ავტორები თუ რედაქტორები, რომლებიც პ. ს. პალასის ლექსიკონს წყაროდ იყენებდნენ საკუთარი ლექსიკოგრაფიული ნაშრომებისათვის, წინამორბედისაგან სესხულობდნენ მის სიტყვას, რომელსაც თარგმნიდნენ ამა თუ იმ ენაზე (როგორც ჯ. ელისის შემთხვევაში), ან მასთან დაფიქსირებულ ლექსიკურ ერთეულებს, რომლებსაც განსხვავებული პრინციპით ალაგებდნენ (თ. იანკოვიჩ დე მირიევოს შემთხვევაში). კიდევ ერთი შტრიხი, რაც მათ აერთიანებთ, არის ის, რომ ისინი ოდენ სიტყვათა სიებს წარმოგვიდგენენ; მათს სახელწოდებებში ნამდვილად ფიგურირებს სიტყვა „შედარებითი,“ თუმცა, მათში შედარება არ არის წარმოდგენილი ანალიზის სახით. სწორედ ამ შტრიხით განსხვავდება დანარჩენისაგან ფრანც კარლ ალტერის ლექსიკოგრაფიული ცდა „Vergleichung der kartelinischen, der gelehrten georgianischen und vulgar-georgianischen Sprache nach den Worterverzeichnissen des Petersburger Vergleichungs-Worterbuchs mit Anmerkungen,“ რომელიც წარმოადგენს მისი წიგნის „ქართული ლიტერატურის შესახებ“ ერთ-ერთ ნაწილს (ალტერი 1798: 131-164); წიგნის ეს ნაწილი გახდება ჩვენი მიმოხილვის ობიექტი ამ სტატიაში.

რაც შეეხება სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებებს, ფ. კ. ალტერის ჩვენთვის საინტერესო წიგნის შესახებ, ამგვარი ნაშრომი არაერთია. ადრეული პერიოდის პუბლიკაციებისაგან შეიძლება გამოვარჩიოთ ალექსანდრე ცაგარელის (1886) შრომა. ქრონოლოგიისათვის, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია ეს მონაცემი, თუმცა იქ თითქმის არაფერია ნათქვამი ზემოხსენებული წიგნის ჩვენთვის საინტერესო ნაწილის შესახებ. განსაკუთრებული ყურადღება უნდა გავამახვილოთ პროფესორ ნ. ორლოვსკაიას მონოგრაფიაზე (1965), რომელშიც ვრცლად და სიღრმისეულადაა მიმოხილული ფ. კ. ალტერის ნაშრომის როგორც ლიტერატურათმცოდნეობითი, ისე საენათმეცნიერო საკითხები. ავტორი ყურადღებას ამახვილებს იმ კონტექსტზე, რომელშიც ვითარდებოდა სხვადასხვა ენის მასალების შეგროვება იმ ეპოქაში. იგი საინტერესო დაკვირვებას გვთავაზობს: „ქართული ლექსიკური მასალები შემოდის სპეციალურ ლიტერატურაში უკვე XVII საუკუნეში. თავდაპირველად მათ სესხულობდნენ რომაული გამოცემებიდან, ხოლო მოგვიანებით სხვა წყაროებიდანაც. იმ ამოცანების მიხედვით, რომლებიც მათ წინაშე იდგა, ეს მასალები შეიძლება დაგვით: 1) მასალები, რომელთა მიზანია, გააცნოს მკითხველს ქართული ენა და 2) ლექსიკურ მონაცემებად, რომლებიც, სხვა ენებიდან მოტანილი მაგალითების პარალელურად, შეტანილია მრავალენოვან ნაშრომებში“ (ორლოვსკაია 1965: 255). თავისთავად ცხადია, რომ ფ. კ. ალტერის შრომა მეორეს განეკუთვნება, თუმცა ნ. ორლოვსკაიას არ გამორჩენია ავსტრიელი სწავლულის ამკარა უზუსტობები მისი მხრიდან ენობრივი შედარებების გაკეთების მცდელობისას; აი, რას შენიშნავს იგი: „ალტერის მთავარი შეცდომა მდგომარეობს იმაში, რომ მან ქართული დიალექტი შეუპირისპირა ქართულ ენას. ავტორს, რომ თავის ნაშრომში საიმედო წყაროები გამოეყენებინა, იგი ადვილად გაერკვეოდა თავის შეცდომაში. მაგრამ ის ლექსიკონები, საიდანაც იგი იღებდა სიტყვებს, სავე იყო შეცდომებით როგორც ტრანსკრიფციის, ასევე თარგმანის თვალსაზრისით“ (იქვე: 257). სხვა ავტორები მეტ-ნაკლები დეტალიზებით ეხებიან ჩვენთვის საინტერესო საკითხებს. მაგალითად, პროფესორი შ. რევიშვილი წერს: „ალტერი იძლევა მეგრული და სვანური ენების ცალკეულ ნიმუშებს, თუმცა, სამწუხაროდ, თავს ვერ აღწევს შეცდომებს: ქართ[ლ]ურ დიალექტს უპირისპირებს ქართულ ენას, ხოლო თვით ქართულ ლექსიკურ მასალას იძლევა ლათინური ტრანსკრიფციით. ამ შეცდომების მიუხედავად, ალტერის შრომა ქართულ ენაზე, მის დიალექტებსა და ლიტერატურაზე უცხოეთში მასალის შეგროვების, დასისტემებისა და შესწავლის პირველი საინტერესო და საყურადღებო ცდაა“ (რევიშვილი 1969: 144). ოდნავ დავარღვევთ ქრონოლოგიურ თანამიმდევრობას

და შევნიშნავთ, რომ მსგავსი შეფასება გვაქვს სხვა ნაშრომშიც, რომლის ავტორები აცხადებენ შემდეგს: „ავტორის დაკვირვებით, იმ დროისათვის საყოველთაო კაზმულსიტყვაობის ისტორიაში ქართული ლიტერატურათმცოდნეობა სრულიად გაუტეხელი ყამირი იყო, რამაც კიდევ უფრო გააძლიერა ინტერესი ამ მიმართულებით. ნაშრომში განხილულია სასულიერო მწერლობის ნიმუშები; ქართულ ბიბლიასთან შედარებულია ძველი ქართული ენის, დამწერლობის, ქართული ენის დიალექტების, აგრეთვე სვანურისა და მეგრულის ცალკეული საკითხები“ (ფეიქრიშვილი და ვაშაკიძე 2012: 45).

ფ. კ. ალტერის ლექსიკოგრაფიულ რესურსს შეეხო ი. ჩაჩანიძე, რომელიც ჩვენთვის საინტერესო წიგნში სამ მთავარ ასპექტს გამოყოფს: „1) ქართული დამწერლობის საკითხი; 2) ლექსიკოგრაფიული მასალები, რომლებიც ნაშრომის მთავარ ლეიტმოტივს წარმოადგენს; 3) ლექსიკოგრაფიული მასალების საფუძველზე ცნობები ქართველური ენების შესახებ“ (ჩაჩანიძე 2019: 225). უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ეს ასპექტი ჯეროვნადაა მიმოხილული. აქვე ნიმუშადაა წარმოდგენილი რამდენიმე სიტყვა-სტატია ალტერის ლექსიკოგრაფიული რესურსიდან (იქვე: 226), რისი საშუალებითაც მკითხველს გარკვეული წარმოდგენა ექმნება მისი აგებულებისა და შემადგენელი სიტყვა-სტატიების თავისებურებათა შესახებ.

სხვა ავტორებისა და მათი ლექსიკოგრაფიული რესურსების მსგავსად მოცემულ შემთხვევაშიც უნდა შევხვით ალტერის მიერ გამოყენებული გლოსონიმებისა და ენა/კილოს მიმართების ტაქსონომიის საკითხებს. მანამდე კი უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ საკითხს შეეხო თ. ბოლქვაძე, რომელიც აცხადებს შემდეგს: „ალ. ცაგარლამდე ქართულის, მეგრულისა და სვანურის მიჩნევა ენებად ან დიალექტებად მხოლოდ დამკვირვებლის ყურზე იყო დამოკიდებული. მაგალითად, ალტერი ერთმანეთისგან მიჯნავდა ქართულის შემდეგ ვარიანტებს: ქართულს, ვულგარულ ქართულს (Vulgar-Georgianisch), იმერულს (Imiretisch). დამოწმებული მაგალითების მიხედვით აშკარაა, რომ იმერულს ალტერი მეგრულს უწოდებდა და ‘მეცნიერულ ქართულს’ (Gelehrtes Georgianisch), რაც სალიტერატურო ქართულს ნიშნავს“ (ბოლქვაძე 2007: 215). ჩვენ მიერ განსახილველი მასალის თვალსაზრისით უადრესად საყურადღებოა გერმანელი ქართველოლოგის ვინფრიდ ბოედერის კომენტარი ზემოთქმულზე: „ჯერ ერთი, ალტერი განასხვავებს ეკლესიურ ქართულს (ანდა ‘სწავლულ ენას’, და არა ‘მეცნიერულ ენას!’) და ხალხურ ქართულს (და არა ‘ვულგარულ ქართულს!’), მეტს არაფერს. მისი პრობლემა იყო პალასის ლექსიკონის (1789) ტერმინების საეჭვო იდენტიფიკაცია, და ვარაუდობს, რომ პალასის ‘карталинский’ უდრის ტრადიციულ ‘gelehrte georgische Sprache-ს’ და რომ პაოლინის ლექსიკური მასალა უდრის ‘vulgar-georgianische Sprache-ს’, მაგრამ არ იცის, რა არის პალასის ‘იმერული’ (რომელიც ფაქტობრივ მეგრულია) და თუ ქართულის დიალექტია [...]. ამიტომ გადაწყვიტა, რომ მხოლოდ მსგავსების შემთხვევაში პალასის ‘იმერული’ სიტყვები ქართულის ვარიანტებისთვის შეედარა. – ამის გარდა, ცაგარლამდე ‘ენისა’ და ‘დიალექტის’ სიტყვების ხმარება დამკვირვებლის ‘ყურზე’ კი არ ყოფილა დამოკიდებული, არამედ [...] ‘დიალექტის’ (Dialekt, Mundart) მაშინდელ გამოყენებაზე: ‘დიალექტი’ ნიშნავდა ‘ენობრივ ვარიანტს’“ (ბოედერი 2019: 241-242). მართლაც ძალიან მნიშვნელოვან ასპექტებზე მიაქცევს ჩვენს ყურადღებას და სასარგებლო განმარტებებსაც გვწვდის პროფესორი ვ. ბოედერი.

ცხრილი 1. ფ. კ. ალტერისეული რიცხვითი სახელები

რიცხვი	Kartelinisch	Gelehrtes Georgiasch	Imiretisch	Suanetisch	ლათინური
1	Erthi	erth	arti		unum
2	ori	orni		ieru	duo
3	zami	sam	zumi	zemi	tria
4	otchi	otchi	antchi		quatuor
5	chuti	chut	chuti		quinque
6	ekuzi, ek'za	ekus			sex
7	Ssjudi, sswid'i	ssudni	skwiti		septem
8	Rwa	rwani	ruo	ara	octo
9	čhra	čcharani	čchora	čcharan	Novem

იმისათვის, რომ ჯეროვნად აღვწეროთ და გავანალიზოთ ფ. კ. ალტერის ლექსიკოგრაფიული რესურსი, აუცილებლად მიგვაჩნია მისი სიტყვა-სტატიების მოქცევა შესაბამისი ცხრილებში, რათა მათი საშუალებით უფრო თვალსაჩინო გახდეს განსახილველი ენობრივი მასალა და მათზე დაყრდნობით შესაძლებელი იყოს მსჯელობა. ვინაიდან ცხრილები არის მოცულობითი ამ სტატიაში ვერ მოხერხდება

მისი წარმოდგენა სრული სახით და ამჯერად ამისგან თავს შევიკავებთ, მხოლოდ რიცხვით სახელთა ცხრილის წარმოდგენით დაგვკმაყოფილდებით. იხ. ცხრილი 1.

აუცილებელია, ყურადღება გავამახვილოთ ერთ საგულისხმო ფაქტზე: ავსტრიელი ფილოლოგი თვითონვე აღნიშნავს, რომ მისი სიტყვანი სწორედ პ. ს. პალასის პეტერბურგული ლექსიკონიდანაა აღებული. მართლაც, მათ შორის გვაქვს იგივეობა როგორც შემადგენლობის, ასევე მათი რაოდენობისა და თანამიმდევრობის თვალსაზრისით; პალასთანაც რიცხვითი სახელები ცალკეა წარმოდგენილი.

ნაშრომის სტრუქტურა და გლოსონიმების (ენათა სახელწოდებების) საკითხი განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს. ლექსიკონში წარმოდგენილი სათაური „Georgian Language“ სინამდვილეში „ქართველურ ენებს“ აერთიანებს, ხოლო სვეტებში მოცემული „Carduel Dialect“ (ქართული), „Imerietian Dialect“ (მეგრული) და „Suaneti Dialect“ (სვანური) არა კილოებს, არამედ დამოუკიდებელ ენებს გულისხმობს.

დასკვნა

ამრიგად, ფრანც კარლ ალტერის ლექსიკოგრაფიული რესურსი, მიუხედავად მისი მეთოდოლოგიური ხარვეზებისა, რჩება პირველ ანალიტიკურ ცდად, რომელმაც ქართველური ენები, დამწერლობა და ლიტერატურული ნიმუშები ერთიან კონტექსტში წარმოადგინა. მისი ნაშრომის მასშტაბურობას განაპირობებს ის ფაქტი, რომ ალტერი თითოეულ სიტყვა-სტატიაში გვთავაზობს ანალიტიკურ მასალასა და ეტიმოლოგიურ დაკვირვებებს. ეს შრომა სამართლიანად მიიჩნევა ქართველურ ენათა დოკუმენტების ისტორიის მნიშვნელოვან ნაწილად, რომელმაც ევროპულ სამეცნიერო სივრცეს ქართული ენობრივი სამყაროს მრავალფეროვნება გააცნო.

ლიტერატურა

1. Alter, F. C. 1786-1787. *Novum Testamentum Graecum, ad Codicem Vindobonensem Graece expressum: Varietatem Lectionis addidit Franciscus Carolus Alter* (2 Bd.). Wien: Joh. Thorn. Edl. v. Trattner.
2. ალტერი 1798 – Alter, F. C. 1798. *Ueber georgianische literatur*. Wien: Trattner.
3. ვ. ბოდერი. 2019. ძველი ქართული. კადმოსი, ჰუმანიტარულ კვლევათა ჟურნალი, 11: 229-249.
4. თ. ბოლქვაძე. 2007. ქართველური დიგლოსია. ქართული სალიტერატურო ენის საკითხები. ისტორია და თანამედროვე მდგომარეობა. თბილისი: საქპრესა; 215-237.
5. Ellis, G. 1788. *Memoir of a Map of the Countries Comprehended Between the Black Sea and the Caspian; with an Account of the Caucasian Nations, and Vocabularies of Their Languages*. London: J. Edwards.
6. Янкович де Мириево Ф. И. (1790-1791). *Сравнительный словарь всех языков и наречий, по азбучному порядку расположенный*. Т. 1-4. Санкт-Петербург: Тип. Брейткопфа.
7. Орловская, Н. 1965. *Грузия в литературах западной Европы XVII-XVIII веков*. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
8. Паллас, П. С. 1787. *Сравнительные словари всех языков и наречий собранные десницею всевысочайшей особы*, ч. 1. Санкт-Петербург: Шнор.
9. Паллас, П. С. 1789. *Сравнительные словари всех языков и наречий...*, ч. 2. Санкт-Петербург: Шнор.
10. შ. რევიშვილი. 1969. ქართული ლიტერატურის გერმანელი მკვლევარები. ცისკარი, 5: 143-150.
11. ქ. ვეიქონიშვილი, ი. ვაშაკიძე. 2012. მასალები საზღვარგარეთული ქართველოლოგიის ისტორიისათვის, წიგნი 1. თბილისი: უნივერსალი.
12. Цагарели, А. А. 1886. *Сведения о памятниках грузинской письменности*, вып. 1. Санкт-Петербург: Типография Императорской Академии Наук.
13. ი. ჩაჩანიძე. 2019. ქართველური ლინგვისტური ტენდენციები ფრანც კარლ ალტერის მემკვიდრეობაში. იბერიულ კავკასიურ ენათმეცნიერება, 47: 223-228.

On Key Aspects of Franz Karl Alters' Lexicographic Collection

Tamriko Zarándia

Abstract

The paper discusses the lexicographic resource „Vergleichung der kartelinischen, der gelehrten georgianischen und vulgar-georgianischen Sprache nach den Worterverzeichnissen des Petersburger Vergleichungs-Worterbuchs mit Anmerkungen“ by the Austrian scholar Franz Karl Alter included in his book *On Georgian Literature*. The structure and sources of the aforementioned part of the book will be dealt with in the present article. F. K. Alter's lexicographic collection truly is a most significant and distinguished work of the 18th century international Kartvelology. It contains noteworthy lexical data which are rather valuable for the history of the study of the Kartvelian languages.

Keywords: F. K. Alter, Kartvelian languages, dictionary.